



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-23/ნ

25 ოქტომბერი 2018 წ.

ქ. თბილისი

სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ
ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N66 დადგენილებისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული:

1. სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმა (დანართი №1).

2. სამედიცინო პერსონალის შესახებ ანგარიშგების ფორმა სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მქონე 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისათვის (დანართი №2).

მუხლი 2

სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ანგარიშგებას სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ, წინა კალენდარული წლის მდგომარეობით, ახორცილებს ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე და წარუდგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს.

მუხლი 3

სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელმა დაწესებულებებმა ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 და №2 დანართებით განსაზღვრული შევსებული ფორმა უნდა წარადგინონ როგორც ქალაქის მატარებელზე, ასევე ელექტრონული ფორმით (დისკი/ინფორმაციის (USB) ელექტრონული მატარებელი).

მუხლი 4

ეთხოვით სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელ დაწესებულებებს მათთან

დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შესახებ ამ ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის
შეესებისას იხელმძღვანელონ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge)
განთავსებული დანართის ნიმუშის (Excel) ფორმატით.

მუხლი 5

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი



დავით სერგეენკო